თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტი

უმაღლესი განათლების პირველი საფეხური

საექთნო საქმის საბაკალავრო ქართულ-ავსტრიული პროგრამა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი – საექთნო საქმის ბაკალავრი

პროგრამის დასახელება საექთნო საქმის საბაკალავრო ქართულ-ავსტრიული პროგრამა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი საექთნო საქმის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა 240 კრედიტი

სწავლების ენა ქართული

პროგრამის მიზნები:

პროგრამის განმსაზღვრელი მიზანია ბაკალავრი ექთნის მომზადება, რომელსაც ექნება შესაბამისი ცოდნა და უნარები ავადობა–სიკვდილობის მინიმიზაციაზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური ჩართულობისათვის ერთ–ერთი საკვანძო და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რგოლის სახით; სხვაგვარად, ეს ნიშნავს, რომ პროგრამის მიზნებია:

- **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში მონაწილეობა დაავადებათა პრევენციის, ჯანმრთელობის აღდგენის და შენარჩუნების, ასევე, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის მიმართულებით:**

  ნებისმიერი ასაკის ინდივიდის, ოჯახების, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ან/და თემის ჯანმრთელობის დაცვაში ჩართულობა დაავადებათა პრევენციის, ჯანმრთელობის აღდგენა–შენარჩუნებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის მეშვეობით;

  საექთნო საქმის თეორიის, საბაზისო სამედიცინო და ქცევითი მეცნიერებების ცოდნისა და ძირითადი კლინიკური უნარების პრაქტიკაში გამოყენების საფუძველზე, მოსახლეობის ჯანდაცვის მუდმივად ცვლად საჭიროებებსა და ახალ გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირება, კრიზისულ სიტუაციებში დროული და ეფექტური მოქმედება – კომპეტენციის ფარგლებში;

- **კლიენტის/პაციენტის მდგომარეობის სწორად მოვლის/მართვის გეგმის შემუშვება დამოუკიდებლად და სამედიცინო გუნდის წევრებთან კონსოლიდირებულად:**

  მზარდი ხარისხის, ეთიკური, კომფორტული და უსაფრთხო პრაქტიკის წარმოება, საექთნო დახმარების საჭიროების შეფასება, ამ დახმარების გეგმისა და სტრატეგიის შემუშავება, განხორციელება და შემდგომი კორექტირება მულტიდისციპლინური სამედიცინო გუნდის წევრებთან, კლიენტთან/პაციენტთან და მის ახლობლებთან თანამშრომლობის გზით;

- **კრიზისულ სიტუაციებში დროულ და ეფექტურ მოქმედებას (კომპეტენციის ფარგლებში),** მართვითი და ლიდერული თვისებების გამოვლენა მულტიდისციპლინური სამედიცინო გუნდის წევრებთან კოლაბორაციით;

- **ადეკვატური და ეფექტური კომუნიკაცია მულტიდისციპლინურ სამედიცინო გუნდის წევრებთან, პაციენტთან და მის ახლობლებთან (კომპეტენციის ფარგლებში):**

  კოლეგებთან და პაციენტებთან კომუნიკაციური უნარების ადეკვატური გამოყენება, კლინიკური და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა, საგანმანათლებლო და საკონსულტაციო საქმიანობის წარმოება, გადაწყვეტილების მიღების უნარი – კომპეტენციის ფარგლებში;

  სამედიცინო დოკუმენტაციის დროული და ზუსტი წარმოება, შენახვა, დაცვა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - გავრცელება, საექთნო ფუნქციების ადეკვატური დელეგირება მულტიდისციპლინური სამედიცინო გუნდის შესაბამისი კომპეტენციის წევრებთან;

- **გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა საკუთარი ცოდნის და პროფესიული უნარ–ჩვევების სრულყოფისა და განვითარებისათვის**

  სიცოცხლის მანძილზე სწავლა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის მზადყოფნა.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება საექთნო საქმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და შესაძლებლობა ეძლევა სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში.

ბაკალავრი ექთნის დასაქმების სფერო მოიცავს სხვადასხვა დონის დიაგნოსტიკურ, სამკურნალო, პროფილაქტიკურ და სარეაბილიტაციო დაწესებულებებს, აგრეთვე, ჰოსპისებს, ეთიკურ კომიტეტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრულ სფეროებს.

შრომის ბაზარზე კვალიფიციურ ექთნებზე გაზრდილი მოთხოვნილება განაპირობებს აღნიშნული კომპეტენციის პირების დასაქმების მაღალ ხარისხს.

საექთნო საქმის საბაკალავრო ქართულ-ავსტრიულ საგანმანათლებლო პროგრამას საფუძვლად უდევს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, T.G. დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრსა და TILAK GmbH -ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება. ეს უკანასკნელი გულისხმობს, მათ შორის, ავსტრიული მხარის წარმომადგენლების მონაწილეობას პროგრამის განხორციელებაში (სალექციო კურსი), გერმანული ენის გაძლიერებულ შესწავლას, წარმატებული სტუდენტების საზაფხულო პრაქტიკას ავსტრიის კლინიკებში, სადაც ისინი გაეცნობიან საექთნო განათლების სისტემის თავისებურებებს, საქმიანობის სფეროებს და ჩაერთვებიან პროფესიულ საქმიანობაში მათი ცოდნის და კომპეტენციის ფარგლებში, მასპინძელი მხარის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში. აღნიშნული თანამშრომლობა ხელს უწყობს სასწავლო პროცესისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ინტერნაციონალიზაციას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საექთნო საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების პრიორიტეტების, მათი შესაბამისი კოეფიციენტების და მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გათვალისწინებით.
ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე საექთნო საბაკალავრო პროგრამაზე მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბიმასად.

პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსი

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები და მასწავლებლები. მათი კვალიფიკაცია და გამოცდილება უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალსიწინებული ცოდნის და უნარების გადაცემას სტუდენტისათვის.

პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრი, საუნივერსიტეტო ბაზები და შესაბამისი პროფილის აფილირებული კლინიკები.

სწავლების მეთოდები

პროგრამით გათვალსწინებული სასწავლო კურსების განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი, რომელიც შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს, მიზანს, სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას:

- **სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები** – გულისხმობს სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიურ ჩართვას და მოიცავს შემთხვევათა სწავლებას, დისკუსიებს, პრეზენტაციებს, ემპირიულ (როლთა განაწილება, სიმულაცია, თამაში) სწავლებას, სემინარებსა და პროექტებს. სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლების ფორმებია:
  - ინტერაქტიური ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები, ლაბორატორიული სავარჯიშოები, სემინარები, კოლოქვიუმები;
  - სიმულატორების და მულაჟების გამოყენება;
  - კლინიკურ გარემოში სწავლება
  - სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა

• **პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

• **შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება** - აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების-სიტუაციების (ე.წ. ,,კეისების" გადაჭრის გზით)

• **სწავლა გამოცდილებით** – გამოიყენება, ძირითადად, კლინიკური სწავლების ეტაპზე. მისი არსი არის სწავლა გამოცდილების შეძენის გზით და მის საფუძველზე. ეს არის მიზანმიმართული აქტივობის პროცესი და მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- კლინიკური პრაქტიკული გამოცდილება – აღწერა იმისა, თუ რა მოხდა;
- შეგრძნებები – ის, რასაც ფიქრობს და შეიგრძნებს სტუდენტი;
- შეფასება – რა არის კარგი და რა არის ცუდი მიღებულ გამოცდილებაში;
- გამოცდილების ანალიზი – რატომ იყო ესა თუ ის გამოცდილება კარგი ან ცუდი;
- დასკვნა – კიდევ რა შეეძლო გაეკეთებინა ან არ გაეკეთებინა სტუდენტს შედეგის გასაუმჯობესებლად?
- შემდგომი პრაქტიკის სამოქმედო გეგმა – რას მოიმოქმედებს სტუდენტი მსგავსი სიტუაციის კვლავ აღმოცენების შემთხვევაში?

• **ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთ ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფი დანარჩენ წევრებს.

• **დემონსტრირების მეთოდი** - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სისტემის საფუძველი:

- ბოლონიის პროცესი – ევროპული კრედიტ–სატრანსფერო სისტემა (ECTS),
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ",
- „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების

შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში შეტანილი ცვლილებები.

თსსუ–ის სტუდენტის მიღწევების შეფასებიას შიდასაუნივერსიტეტო მარეგულირებელის აქტები (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი).

- . სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.
- შუალედური შეფასება წარმოადგენს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ცოდნის შეფასების კომპონენტების მიხედვით მიღებულ ქულათა ჯამს და განისაზღვრება 60 ქულით.
- დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით. დასკვნითი გამოცდის შეფასება:

ა) დადებითია სტუდენტის მიერ 20 და მეტი ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50% და მეტი) მიღების შემთხვევაში (იხ., ასევე, ქვემოთ).

- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასების/ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.
- სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 5 დღეში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით (ხუთიდან):

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასება 91 ქულა და მეტი
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასება 81- 90 ქულა
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასება 71-80 ქულა

- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასება 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასება 51-60 ქულა

შეფასების სისტემა ითვალსწინებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (Fx) ვერ ჩაბარა - მაქსიმალური შეფასება 41-50 ქულა = სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასება 40 ქულა და ნაკლები = სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

2014-2015 სასწავლო წლიდან სტუდენტთა ცოდნის შეფასების მიზნით გამოიყენება პორტფოლიო.

სწავლის შედეგები:

კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

იცის/გაცნობიერებული აქვს:

1. ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა, საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები, ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპები, ექთნის როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მულტიდისციპლინურ პროფესიულ გუნდში.
2. პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ბაზისური თეორიული საკითხები და კლინიკური უნარ–ჩვევები, უსაფრთხოების წესები, ინფექციის კონტროლის პრინციპები და ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით.
3. უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობა, მართვისა და ლიდერობის უნარები.

უნარი

შეუძლია:

4. მიღებული ცოდნის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენება კომპეტენციის ფარგლებში სამუშაოს დაგეგმვის, სათანადო დონეზე წარმართვის და მზარდი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, სამედიცინო გუნდში ეფექტური და კოორდინირებული მუშაობა, ადამიანური რესურსების ეფექტური მართვა და ფუნქციების ადეკვატური დელეგირება, კლიენტის/პაციენტის ოპტიმალური, უსაფრთხო, კომფორტული და ეთიკური მოვლის/მართვის უზრუნველყოფა.
5. კლინეტის/პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის რისკ–ფაქტორების, ნორმისა და დევიაციის ნიშნების ამოცნობა, ადექვატური ინტერპრეტაცია და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება, კლიენტის/პაციენტის სიცოცხლესთან დაკავშირებული რისკების დროული შეფასება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება, საექთნო დახმარების საჭიროების შეფასება, გეგმის შემუშავება და საჭიროებისამებრ კორექცია. მოვლა/მართვის გეგმის ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებების ამოცნობა, დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით აღმოფხვრა, შესაბამისი კორექტივების შეტანა მოვლა/მართვის გეგმაში და ცვლილებების შეათანხმება სამედიცინო გუნდის დანარჩენ წევრებთან.
6. კლიენტის/პაციენტის მართვის გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა ინვაზიური ჩარევების და არაინვაზიური პროცედურების წარმოება. სამკურნალწამლო და სამედიცინო ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საშუალებათა ეფექტური გამოყენება, შენახვა და გამოყენებული მასალის განადგურება უსაფრთხოების წესების დაცვით, შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება,

შენახვა, დაცვა, გადაცემა და გავრცელება. კვლევაზე და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის წარმოება.

7. ჯანმრთელობის ხელშეწყობა ადეკვატური პრევენციული ღონისძიებების გატარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის გზით.
8. ეფექტური კომუნიკაცია ცვლად პროფესიულ გარემოში, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება და ახალი ტექნოლოგიების ათვისება. სპეციფიკური პროფესიული ინფორმაციის მიღება, დამუშავება და სხვადასხვა გზით გადაცემა როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე. ინტერპერსონალური კომუნიკაცია ჯანდაცვის და სოციალურ მუშაკებთან, პაციენტთან, მისი ოჯახის წევრებთან და სხვა ინდივიდებთან თუ ინდივიდთა ჯგუფებთან სერვისის ეფექტური უზრუნველყოფის მიზნით. კლიენტის/პაციენტის, მომვლელის ანდა ოჯახის წევრების ინფორმირება, კონსულტირება და განათლება. კლიენტის/პაციენტის ღირსების, უფლებების დაცვა, ადვოკატირება და ასოცირებული ინფორმაციის კონფიდენციურობის უზრუნველყოფა, უწყვეტი პროფესიული განვითარება.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

შეუძლია:

9. დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დეფიციტი, საჭიროებები და პრიორიტეტები შემდგომი პროფესიული სრულყოფის მიზნით, საკუთარი პრაქტიკის სრულყოფა და კარიერული წინსვლა დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განათლების ყველა შესაძლებელი ფორმის გამოყენებით.
10. მაღალი პასუხისმგებლობით, ცვლად პროფესიულ გარემოში საკუთარი საქმიანობის წარმართვა, კრიტიკული მიდგომა საკუთარი საქმიანობისადმი საჭიროების შემთხვევაში, ადეკვატური პროფესიული შენიშვნების, მითითებების და რეკომენდაციების გათვალისწინება, პროფესიული ღირებულებებისადმი სხვათა დამოკიდებულების დაფასება და საკუთარი დამოკიდებულების სხვებისათვის გაზიარება, საექთნო საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო და ლოკალური საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესაბამისად მოქმედება.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის კომპონენტები

კვლევაზე და ფაქტებზე დამყარებული პროგრამა შეესაბამება ქვეყნის ჯანდაცვის ეპიდემიოლოგიურ, დემოგრაფიულ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტუალურ პრიორიტეტებს და მოიცავს შემდეგ აუცილებელ კომპონენტებს:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, პაციენტთა განათლება
- ბიოლოგიური მეცნიერებები
- ქცევითი მეცნიერებები
- საექთნო საქმე
- კვლევითი უნარ–ჩვევები
- კომუნიკაციური უნარ–ჩვევები
- პროფესიული, ეთიკური და იურიდიული ასპექტები
- ინფორმაციის მართვა და საინფორმაციო ტექნოლოგიები
- მენეჯმენტი და ლიდერობა

ფუნქციური ბლოკები

1. შესავალი პროფესიაში და ეთიკური ღირებულებები
2. ბაზისური მეცნიერებები
3. ადამიანის სხეულის აგებულება და ფუნქცია
4. კვლევის საფუძვლები და კვლევაზე დაფუძნებული პრაქტიკა

5. ინფორმატიკა და სტატისტიკა
6. ჯანდაცვის ორგანიზაცია
7. სოციოლოგია, ფსიქოლოგია, პედაგოგიკა
8. ჯანმრთელობის ხელშეწყობა
9. კვება, ავადმყოფთა კვება, დიეტური კვება
10. ავადმყოფის მოვლა
11. ინფექციის კონტროლი
12. ფარმაკოლოგია
13. დარგობრივი გერმანული
14. კომუნიკაცია და კონფლიქტის მართვა
15. დაავადების საფუძვლები, დიაგნოსტიკა და თერაპია
16. საგანგებო სიტუაციების მართვა და რადიაციისგან დაცვა
17. გერონტოლოგია, გერიატრია, გერონტოფსიქიატრია
18. შინმოვლა
19. დარგობრივი ერგონომიკა
20. რეანიმაცია და ინტენსიური თერაპია

საექთნო საქმის საბაკალავრო ქართულ-ავსტრიული პროგრამის სასწავლო გეგმა

	სასწავლო კურსი	კრედიტი
	I სემესტრი	**30**
1	საორიენტაციო კურსი	2
2	საექთნო საქმის ისტორია	2
3	პროფესიული ეთიკა	2
4	სამართლის საფუძვლები	2
5	ლათინური ენა	2
6	მტკიცებითი მედიცინის საფუძვლები	2
7	ინფორმატიკის საფუძვლები დარგობრივი ინფორმატიკით	3
8	სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა	2
9	სამედიცინო ქიმია	2
10	ანატომია 1	5
11	სამედიცინო ბიოლოგია	3
12	ჰისტოლოგიის საფუძვლები	3
	II სემესტრი	**30**
1	ჯანდაცვის ორგანიზაციის საფუძვლები 1	2
2	ანატომია 2	4
3	სამედიცინო ბიოქიმია	2
4	ფიზიოლოგია 1	4
5	გერმანული ენა 1	4
6	ავადმყოფის მოვლა 1	5
7	მიკრობიოლოგია	2

8	იმუნოლოგია	2
9	გარემოს ჰიგიენა	2
10	ინფექციის კონტროლის საფუძვლები	3
	III სემესტრი	**30**
1	ფიზიოლოგია 2	4
2	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1	2
3	სოციოლოგიის საფუძვლები	2
4	ჯანდაცვის ორგანიზაციის საფუძვლები 2	2
5	პრევენციული მედიცინა	4
6	საექთნო საქმის ინფორმაციული ტექნოლოგიები და ტელეკომუნიკაციის საფუძვლები	2
7	ბიოსამედიცინო სტატისტიკის საფუძვლები	2
8	გერმანული ენა 2	4
9	კლინიკური უნარ-ჩვევები 1	5
10	არჩევითი	3
	IV სემესტრი	**30**
1	კვლევის ბაზისური მეთოდები	2
2	კომუნიკაციის საფუძვლები	2
3	კონფლიქტის მართვის საფუძვლები	2
4	ფარმაკოლოგიის საფუძვლები	3
5	პათოლოგიური ანატომია	3
6	პათოლოგიური ფიზიოლოგია	3
7	გერმანული ენა 3	4
8	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2	2
9	პედაგოგიკის საფუძვლები	2
10	ავადმყოფის მოვლა 2	2
11	კვების ჰიგიენა	2
12	არჩევითი	3
	V სემესტრი	**30**
1	გერმანული ენა 4	5
2	კერძო ფარმაკოლოგია	5
3	დიაგნოსტიკის საფუძვლები	4
4	ლაბორატორიული საქმე	3
5	პირველადი დახმარების ასპექტები	3
6	საგანგებო სიტუაციების მართვა	3
7	კლინიკური უნარ-ჩვევები 2	4
8	არჩევითი	3
	VI სემესტრი	**30**
1	ფსიქიატრია 1	2
2	შინაგანი მედიცინა	5
3	თერაპიული პაციენტის მოვლის პრაქტიკული კურსი	4
4	ზოგადი ქირურგია	5
5	ქირურგიული პაციენტის მოვლის პრაქტიკული კურსი	4
6	ინფექციური დაავადებები	3

7	ინფექციური პაციენტის მოვლის პრაქტიკული კურსი	2
8	დერმატოლოგია	2
9	არჩევითი	3
	VII სემესტრი	**30**
1	ნევროლოგია	3
2	ნევროლოგიური პაციენტის მოვლის პრაქტიკული კურსი	3
3	პედიატრია	3
4	პედიატრიული პაციენტის მოვლის პრაქტიკული კურსი	4
5	ოფთალმოლოგია	2
6	გერონტოლოგია, გერიატრია	3
7	გერონტოფსიქიატრია	2
8	გერიატრიული პაციენტის მოვლის პრაქტიკული კურსი	3
9	შინმოვლა 1	2
10	დარგობრივი ერგონომიკა 1	2
11	არჩევითი	3
	VIII სემესტრი	**30**
1	შინმოვლა 2	2
2	დარგობრივი ერგონომიკა 2	2
3	მეანობა-გინეკოლოგია	4
4	დედათა და ბავშვთ მოვლა	4
5	ონკოლოგია	4
6	ონკოლოგიური პაციენტის მოვლა	3
7	ფსიქიატრია 2	4
8	რეანიმაცია და ინტენსიური თერაპია	4
9	არჩევითი	3